ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4745842

ნომერი: AR1713380

თარიღი : 17.10.2019

გაცემის თარიღი : 11.11.2019

გაცნობის თარიღი : 11.11.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილოს საკრებულოს ტერიტორია, (ნაკვეთი N2/5) ; ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილზე , შ.პ.ს. "ელსავაკო"-ს დასავლეთით , (ნაკვ. N2/2) ; ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილი , N 112 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 112 , მიმდებარედ (ნაკვეთი 02/021) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 112 , მიმდებარედ ნაკვეთი 02/033; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 112 , მიმდებარედ ნაკვეთი 02/034;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბუქური პ/ნ 01025003639
- ტ. თბილისი, ვაშლიჯვარის დასახლება კორპ. 11. ბ.6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება დემონტაჟი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება ახალი მშენებლობა
- აბრებისა და რეკლამების განთავსება დემონტაჟი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება. განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია საქართველოს ბანკი, აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი საპროექტო ფართთან მიმართებაში, (იჯარა, ქირავნობა, აღნაგობა და ა.შ) ან რაიმე სხვა უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული). გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. თუ დაგეგმილი სამუშაოებით ეხებით სხვის სარგებლობაში არსებულ ფართს წარმოდგენილ იქნეს ყველა ასეთი პირის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები. გაითვალისწიენთ, რომ ფიზიკური პირის შემთხვევაში ხელმოწერა დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით იურიდიული პირის შემთხვევაში ასევე შესაძლებელი, წარმოდგენილ იქნეს ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი. რაც შეეხება მესაკუთრის თანხმობას, არაა მისაღები დაუდგენელია რა ფოტომონტაჟზე გაიცა თანხმობა აქედან გამომდინარე წარმოდგენილ იქნეს ზოგადი შინაარსის თანხმობა.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.